# შოტლანდიაში ვიკინგების საჭადრაკო დაფა იპოვეს

**შოტლანდიის ჩრდილოეთ – აღმოსავლეთ ნაწილში არქეოლოგებმა ჭადრაკის მსგავსი სკანდინავური სამაგიდო თამაშის ჰნეფტაფლის დაფა იპოვეს. არტეფაქტი დირსის საბაატოში მიმდინარე არქეოლოგიური გათზრების დროს აღმოაჩინეს.**

დირსის სააბატო 1219 წელს დაარსდა და XVI საუკუნემდე იარსება, შემდეგ კი ადგილობრივი ლორდის დაქვემდებარებაში გადავიდა. ამ სააბატოში შეიქმნა ერთ–ერთი უძველესი შოტლანდიური ხელნაწერი –” დირსის წიგნი”, რომელშიც შედის ლათინურ, ძველირალნდიურ და გალიურ ენებზე თარგმნილი სახარება. ამჟამად ხელნაწერი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება.

სააბატოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები 2008 წლიდან მიმდინარეობს. ცოტა ხნით ადრე აქ XII-XIII ს.ს –ის ქვით მოპირკეთებული ბუხრის ნანგრევები და რამოდენიმე თიხის ქოთანია ღმოაჩინეს. ვიკინგების ნივთის აღმოჩენა არქეოლოგებისთვის მართლაც მოულოდნელი იყო – ჰნეფტაფლი უძველესი სკანდინავური თამაშია, ყველაზე ადრეული ინფორმაია მის შესახებ III საუკუნეში გვხდება. შემდგომში ვიკინგებმა ეს თამაში ჩრდილოეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც გაავრცელეს. მეცნიერებმა ჯერ ვერ დაადგინეს, თუ რომელ საუკუნეს მიეკუთვნება ეს სათამაშო დაფა.

The Scotsman